ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 321

16 ივლისი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქარხანა „მიონის" მოპირდაპირე მხარეს მდებარე 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.13.02.003.052) ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „დიდუბე XXI"-ს (ს/ნ. 202063783) (უფლებამონაცვლე: შპს „მაქსთერმი", ს/ნ. 237978113) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 2 ივნისის №ე-25-39-658 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის და 127² მუხლის, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქარხანა „მიონის" მოპირდაპირე მხარეს მდებარე 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.02.003.052) ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „დიდუბე XXI"-ს (ს/ნ. 202063783) (უფლებამონაცვლე: შპს „მაქსთერმი", ს/ნ 237978113) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 2 ივნისის №ე-25-39-658 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის №22.831.913 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „დიდუბე XXI"-ს (ს/ნ. 202063783) (უფლებამონაცვლე: შპს „მაქსთერმი", ს/ნ. 237978113) შორის გაფორმებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ 2011 წლის 2 ივნისის №ე-25-39-658 ოქმში (ხელშეკრულებაში) და აღნიშნული ოქმით (ხელშეკრულებით) განკარგული უძრავი ქონების (ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქარხანა „მიონის" მოპირდაპირე მხარეს მდებარე 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ს/კ. №01.13.02.003.052) ნაწილზე (32 კვ.მ. - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის №22.831.913 განკარგულების დანართის შესაბამისად) გაუქმდეს აღნიშნული ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობა - „მშენებლობის უფლების გარეშე", იმ პირობით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში შპს „მაქსთერმი"

(ს/ნ. 237978113) უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე 21 457 (ოცდაერთი ათას ოთხას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარის გადახდას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე